PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტი - შემდგომში „შემსყიდველი"
(მის: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. #6, ს/კ 238769025) აცხადებს კონკურს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: რეგიონალური განვითარების ფონდიდან (შემდგომში რ.გ.ფ) სამტრედის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში (650 000 ლარი) და ადგილობრივი ბიუჯეტიდან (16000 ლარი) 2011 წელს შესასრულებელი ნებისმიერი სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ასევე შესაბამისი ნახაზების (ასეთის სჭიროების შემთხვევაში) შედგენასთან დაკავშირებული მომსახურეობის შესყიდვა.

რ.გ.ფ-ის ფარგლებში და ადგილობრივი შემოსავლებით განსახორციელებელი დაფინანსებიდან ჩასატარებელი ძირითადი სამუშაოებია:

- ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული პარკებისა და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია
- ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბოგირების აღდგენა-რეაბილიტაცია
- ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების საფარის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით, ასევე გზისპირა გაზონებისა და არხების მოწყობა-რეაბილიტაცია
- ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებსა და სკვერებში ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა
- წყალ-კანალიზაციის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები
- შენიშვნა: ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია მოხდეს სხვა სამუშაოების ჩატარებაც.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 12580 (თორმეტიათას ხუთას ოთხმოცი) ლარს დღგ-ს გარეშე.
საკონკურსო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
საკონკურსო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, გარდა დ.ღ.გ-სა

2. დაფინანსების წყარო და პირობები:
ა) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული მომსახურეობის შესყიდვის დაფინანსების წყაროა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი
ბ) გაწეული მომსახურეობის დაფინანსებას „შემსყიდველი" მოახდენს ეტაპობრივად, „მომწოდებლის" მოთხოვნის შესაბამისად, კონკრეტულ შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის „შემსყიდველისათვის" ჩაბარების შემდეგ,
გ) „მოწოდებელმა" თითოეული ეტაპის დაფინანსების მოთხოვნისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობა:

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

- დღგ-ს გადამხდელებისათვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 3%-ს.
- დღგ-ს არ გადამხდელებისათვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 2,5%-ს.

დ) ,,შემსყიდველსა" და ,,მომწოდებლს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანხობრივი პარამეტრების გაკონტროლებისა და ,,მომწოდებლი"-ს მიერ გაწეული მომსახურეობის მოცულობის მიხედვით ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას თავად განსაზღვროს ,,მომწოდებლის" დაფინანსების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ,,გ" პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას.

3. ,,სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული საგეგმო პარამეტრების დაცვის მიზნით ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ,,მოწოდებელს" მოახდინოს მის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების ცვლილება, გამოსაყენებელ მასალათა სახეობების ცვლილება და. ა.შ.
აღნიშნული მომსახურეობა ,,მომწოდებლი"-ს მიერ შესრულებული უნდა იქნეს მხარეთა შორის გაფორმებულ სახელშეკრულებო თანხის ფარგლებში;

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა:
ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შესყიდვის კონკრებული ობიექტის მიწოდების ვადა განისაღრვრება ,,შემსყიდველი'-ს მხრიდან შესაბამისი სადეფექტო აქტის მიწოდებიდან 10 (ათი) დღე.

4. ზეპირი ვაჭრობა (სამ რაუნდად) გაიმართება კონკურსის ჩატარების დღეს 2011 წლის 11 მაისს 16 საათზე

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური
5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე **(www.procurement.gov.ge).**

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

6. **კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 11 მაისს 15 საათზე.**

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (დედანი და ორი ასლი), დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 11 მაისს 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. #6, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური (მე-3 სართული, ოთახი №305), განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

7. **საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა** განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

8. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

8.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ბ) ხელმძღვანელი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ხელმძღვანელი პირისაგან სხვა პირზე უფლებამოსილების გადაცემა დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით;

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

ბ) პირის პირადობის მოწმობის ასლი

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) აფიდავიტი (შევსებული და დადასურებული კონკურსანტის მიერ).

ბ) შესყიდვის ობიექტის ფასი

გ) ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;

დ) ინფორმაცია უკანასკნელ წლებში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, კერძოდ

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი:
- მომსახურე ბანკი და ბანკის კოდი:
- ანგარიშის ნომერი:

9. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.
11. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.
12. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

შენიშვნა: ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე

13. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, არ არის შედგენილი ამ წესის მოთხოვნათა დაცვით/ ან არ შეესაბამება შემსყიდველის მიერ საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ;
ბ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
გ) თუ ის არ დააზუსტებს შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადებასთან დაკავშირებით მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას;
ე) თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;
ვ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას."

14 კონკურსანტს არ აქვს უფლება აიყვანოს სუბკონტრაქტორი.

15. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.
16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი ირაკლი სულავა, მისამართზე: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6 მე-3 სართ. ოთახი №312; ტელ 895 90 44 33; სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახური. საკონკურსო კომისია.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ტექნიკური დავალება (დასადები ხელშეკულების აუცილებელი პირობები)

1, მომწოდებელი ვალდებულია თითოეულ სამუშაოზე შეადგინოს საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი ნახაზებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) შედგენის მომენტისათვის არსებული სტანდარტებისა და ნორმების სრული დაცვით, რომელიც უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედით დამოწმებული

2. გასაწევი მომსახურეობის ტექნიკური დავალება გულისხმობს:

ა) ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული პარკებისა და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია, კერძოდ, არსებული ტროტუარებისა და ბორდიურების ნაწილობრივ დემონტაჟს, ტროტუარზე არსებული ხის ფესვების ამოძირკვას, ახალი ანაკრები და მონოლითური ბორდიურების მოწყობას, ახალი დეკორატიული ფილების დაგების სამუშაოებს და სხვა.

სამუშაოთა კონკრეტული დასახელებები და მოცულობები კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა ,,შემსყიდველისაგან"

ბ) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბოგირების აღდგენა-რეაბილიტაცია, კერძოდ, არსებული ბოგირების ნაწილობრივ ან სრულ დემონტაჟს და ახალის მოწყობას ან არსებულის აღდგენას;

სამუშაოთა კონკრეტული დასხელებები და მოცულობები კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა ,,შემსყიდველისაგან"

გ) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ქუჩ(ებ)ის საფარის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით, ასევე გზისპირა გაზონებისა და არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, კერძოდ არსებული ასფალტობეტონის საფარის შეკეთებას, მასზე ახალი საფარის (მეორე ფენის) მოწყობას, გზისპირა გაზონების მოყობას და მიმდებარე არხების აღდგენა-რეაბილიტაციას.

სამუშაოთა კონკრეტული დასხელებები და მოცულობები კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა ,,შემსყიდველისაგან"

დ) ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებსა და სკვერებში ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა, კერძოდ მიწისქვეშა ელ. გაყვანილობის მონტაჟს და ახალი განათების ბოძებისა და განათების სისტემების დამონტაჟებას;

სამუშაოთა კონკრეტული დასახელებები და მოცულობები კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა ,,შემსყიდველისაგან"

ე) წყალ-კანალიზაციის სისტემების აღდგენა რეაბილიტაციას

ვ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს.

3. იმ შემთხვევაში თუ კი ელექტრონული ტენდერის შედეგად მიღებული იქნება ეკონომია (რ.გ.ფ-და გამოყოფილი 650 000 ლარის ფარგლებში და ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 16000 ლარის ფარგლებში) და ,,შემსყიდველი" აღნიშნული ფონდ(ებ)ის ფარგლებში დაგეგმავს დამატებით სამუშაოებს, კონკურსში გამარჯვებული ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია დამატებით დაგეგმილი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ,, შემსყიდველს" მიაწოდოს ურთიერთ შორის გაფორმებული სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში.

4. კონკურსანტის შეფასების მთავარი და ერთადერთი კრიტერიუმია საკონკურსო წინადადების ფასი.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

საკონკურსო წინადადება

თარიღი: _____ წ.
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ვის: სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: _____
(კონკურსანტის დასახელება)

შევისწავლეთ რა საკონკურსო დოკუმენტაცია. თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ _____
(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: _____ ლარი.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ _____ გაწევა ხელშეკრულების
(მომსახურება)

გაფორმებისთანავე და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების („შემდგომ ხელშეკრულება") ძალაში შესვლიდან _____
(დღე, თვე, წელი)

საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად,
(აქ შეიძლება ჩაიწეროს შესყიდვის ობიექტის ვადები ან დაწყება–დასრულების კონკრეტული თარიღი)

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია ____ დღის განმავლობაში დაწყებული შემდეგი თარიღიდან: _____
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 მარტის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

დირექტორი: _____
(ხელმოწერა)

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

აფიდავიტი
საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი,_____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____ სახელით,

(კონკურსანტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა საკონკურსო წინადადებას

_____

_____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და საკონკურსო კომისიის დასახელება)

ის მიერ

_____

_____

(კონკურსის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი;
ბ) საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
გ) საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
დ) ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს.
ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება.

6. საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

(კონკურსანტის რეკვიზიტები)

(კონკურსანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.